სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშკრულება №1

ქ. ხონი 1.01. 2020 წელი

ერთის მხრივ ხონის ა(ა) იპ საინფორმაციო ცენტრი ,,ხონი"(შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან ბახტაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,, ხომლი ენ"(შემდგომში წოდებული) წარმოდგენილი მისი დირექტორის ელგუგა თავბერიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული ფორმით მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვაზე.

1.ტერმინთა განმარტებები

2.1 წინამდებარე ხელშეკრულემაში გამოყენებული ტერმინები შეესაბამება „ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლში განმარტებულ ტერმინებს.

3. ხელშეკრულების ობიექტი

3.1 მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველისათვის გაზეთ „ხონი"-ს ნომრების ბევდის (კლასიფიკატორის კოდი 79800000) მიწოდებას ხელშეკრულების გაფორმებიდან 2020წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **2640** ლარს.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაიხადოს შეძენილი საქონლის ღირებულება საანგარისწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშ– ფაქტურა ან/და მიღება–ჩაბარების აქტი). შემსყიდველისათვის წარდგენიდან 10 დღის ვადაში უნაღდო ანგარიშსწორებით.

6. მიღება–ჩაბარებს წესი

6.1 ხელშეკრულების ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარისწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

7 მხარეთა უფლება – მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ტალონების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უდავო საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით განუხრელად და ჯეროვნად

შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში, ამასდთან შემსყიდველს მისცეს უფლება უფასოდ გამოიყენოს გაზეთის ფართი სამსახურეობრივი განცხადების, მილოცვისა და თანაგრძნობის გამოსაქვეყნებლად.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ინსპექტირება.

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ საამისოდ უფლებამოსილი სამსახური.

8.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.

8.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლოთ დადგენილი წესით.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

9.1 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იცვლება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის.

9.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების და /ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებით თანხების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა ეცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

9.4 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა (ფორს–მაჟორი)

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1 ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის

გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13 . ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31დეკემბრის ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი:	შემსყიდველი
შპს ,, ხომლი ენ" ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ.№45 საინდენტიფიკაციო კოდი212899434 სს „ლიბერთი ბანკის" ხონის ფილიალი კოდი:LBRTGE22 ს/ს GE17LB0113197429270000	აიპ საინფორმაციო ცენტრი „ხონი" ხონი, პ.კაკაბაძის ქ. N–15 საიდენტიფიკაციო კოდი: 444957913 სახემმწიფო ხაზინა კოდი:LBRTGE22 ს/ს 745447499

14. მხარეთა ხელმოწერები

მიმწოდებელი: /ე. თავბერიძე/

შემსყიდველი: /ქ. ბახტაძე/

Ketevan Bakhtadze

Digitally signed by Ketevan Bakhtadze
Date: 2020.01.17 15:10:43 +04'00'

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ა(ა)-იპ საინფორმაციო ცენტრი ,,ხონი"-ს დირექტორი ქეთევან ბახტაძის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ხომლი ენ" -ს დირექტორი ელგუჯა თავბერიძე ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით N1 1.01. 2020 წლის ხელშეკრულების საფუძველზე შესყიდვის განხორციელებაში არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ა (ა)-იპ საინფორმაციო ცენტრი ,,ხონი"-ს დირექტორი: Ketevan Bakhtadze Digitally signed by Ketevan Bakhtadze Date: 2020.01.17 15:12:25 +04'00' / ქ. ბახტაძე/

შპს ,,ხომლი ენ" -ს დირექტორი: /ე თავბერიძე/